



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერია
G E O R G I A
RUSTAVI CITY MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 38-382205936

თარიღი: 28/02/2022

პინი: 0367

ადრესატი: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ბატონო ნოდარ,

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის თანახმად გიგზავნით ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.


პატივისცემით,

ნინო ლაცაბიძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ
რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში**


**რუსთავი
2022**

**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის
ბიუჯეტის მიმოხილვა**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 50 603,2 ათ. ლარი, (ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N223 17.12.2020წ. დადგენილების თანახმად; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი N190020020.35.160.016659), განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით ბიუჯეტის პარამეტრები დაზუსტდა და განისაზღვრა 74 415.0 ათ. ლარით.

დასახელება	2021 წლის გეგმა	მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტი	2021 წლის ფაქტი	მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტი
შემოსავლები	56 696,5	8 787,3	62 866,1	8 781,0
გადასახადები	41 900,9		45 157,5	
გრანტები	9 852,3	8 787,3	10 439,8	8 781,0
სხვა შემოსავლები	4 943,3		7 268,8	
ხარჯები	51 695,1	2 129,8	48 113,6	1 598,1
შრომის ანაზღაურება	17 267,5	183,2	17 113,8	180,8
საქონელი და მომსახურება	14 949,7	414,8	13 689,1	384,0
პროცენტი	1 220,8		1 194,2	
სუბსიდიები	5 114,0		4 981,6	
გრანტები	5,2		5,0	
სოციალური უზრუნველყოფა	4 563,0	13,8	4 336,0	9,7
სხვა ხარჯები	8 575,0	1 518,0	6 793,9	1 023,6
საოპერაციო სალდო	5 001,4	6 657,4	14 752,5	7 182,9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	12 367,9	6 974,8	4 385,3	6 408,9
ზრდა	22 469,9	6 974,8	18 416,7	6 408,9
კლება	10 102,1		14 031,4	
მთლიანი სალდო	-7 366,5	-317,4	10 367,2	774,0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-7 616,5	-317,4	10 121,4	774,0
ზრდა	0,0	0,0	10 121,4	774,0
ვალუტა და დეპოზიტები			10 121,4	774,0
კლება	7 616,5	317,4	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	7 616,5	317,4		
ვალდებულებების ცვლილება	-250,0	0,0	-245,8	0,0
კლება	250,0	0,0	245,8	0,0
საშინაო	250,0		245,8	
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0

შემოსულობები



2021 წლის ბიუჯეტში შემოსავლების სახით მობილიზებულია 62 866,1 ათ. ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 111 პროცენტია.

გადასახადების სახით მობილიზებულია 45 157,5 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 108 პროცენტია, მათ შორის:

- საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 8 644,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8 000,0 ათ. ლარი) 108 პროცენტია.
- უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 15,4 ათ. ლარი, რაზეც საპროგნოზო მაჩვენებლი არ ყოფილა განსაზღვრული.
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 313,3 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (100,0 ათ. ლარი) 313 პროცენტია.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით მობილიზებულია 22,3 ათ. ლარი, რაზეც საპროგნოზო მაჩვენებლი არ ყოფილა განსაზღვრული.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით მობილიზებულია 3 861,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 400,0 ათ. ლარი) 161 პროცენტია.
- დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 32 300,3 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (31 400,9 ათ. ლარი) 103 პროცენტია.

გრანტების სახით მობილიზებულია 10 439,8 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (9 852,3 ათ. ლარი) 106 პროცენტია, მათ შორის:

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების სახით მობილიზებულია 30,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (65,0 ათ. ლარი) 47 პროცენტია.
- მიზნობრივი ტრანსფერის სახით მობილიზებულია 500,0 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (500,0 ათ. ლარი) 100 პროცენტია.
- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მობილიზებულია 9 909,2 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (9 287,3 ათ. ლარი) 107 პროცენტია.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 7 268,8 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 943,3 ათ. ლარი) 110 პროცენტია (იხ. ცხრილი).

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
სხვა შემოსავლები	4 943,3	7 268,8	147
შემოსავლები საკუთრებიდან	612,0	1 550,9	253
პროცენტები	400,0	1 181,5	295
დივიდენდები	12,0	0,0	0
რენტა	200,0	369,4	185
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	109,0	254,8	234
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	91,0	114,6	126
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1 751,3	2 333,1	133
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1 733,3	2 288,8	132
სანებართვო მოსაკრებელი	110,0	258,2	235
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0	0,1	100
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,8	1,0	125
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	722,5	957,0	132
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	900,0	1 072,4	119
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	0,0	0,3	300
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	18,0	44,3	246
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	18,0	44,3	246
ჯარიმები, სანქციები და საურავები	2 100,0	2 487,5	118
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	480,0	897,2	187

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 14 031,4 ათ. ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (10 102,1 ათ. ლარი) 139 პროცენტია, სადაც 82 % მიწის გაყიდვის შემოსავლიდან არის.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებები

2021 წლის განმავლობაში მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე აღებული ვალდებულების ფარგლებში დაფინანსდა 245,8 ათ. ლარი და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გასასტუმრებელი ვალის ნაშთი 2022 წლის დასაწყისისთვის განისაზღვრება 21 946,1 ათასი ლარით.

N	დასახელება	ვალის ოდენობა
1	საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტით ქონების (კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდები და ნარჩენების კონტეინერები) გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში	495,4
2	საქართველოს ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამით 40 ერთეული ავტობუსის შეძენა	21 450,7
სულ:		21 946,1

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	-7 616,5	10 121,4
ზრდა	0,0	10 121,4
კლება	7 616,5	0,0

ინფორმაცია ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთების მდგომარეობის შესახებ

ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში 2020 წლის ბოლოს ფულადი სახსრების ნაშთმა, რომელიც გაიწერა 2021 წლის ბიუჯეტში შეადგინა 7 616,5 ათ. ლარი, საიდანაც 317,4 ათ. ლარი შეადგინა კაპიტალური ტრანსფერების ნაშთმა, ხოლო ადგილობრივი სახსრების ნაშთი იყო 7 299,1 ათ. ლარი.

2021 წლის ბოლოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი დაფიქსირდა 18 066,4 ათ. ლარის ოდენობით, საიდანაც 1 382,5 ათ. ლარი - კაპიტალური ტრანსფერის ნაშთია, 37,4 ათ. ლარი - მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთია, ხოლო ადგილობრივი ფულადი სახსრების ნაშთი დაფიქსირდა - 16 646,4 ათ. ლარი.


2021 წლის ბოლოს დაფიქსირებული ნაშთის დეტალიზაცია:

- კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში დარჩენილი 1 382,5 ათ. ლარიდან 1 023,4 ათ. ლარი მიმართულ იქნა გამრავალწლიანებული ხელშეკრულებებით შესასრულებელი და ვალდებულებით გადასული ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის 2022 წლის ბიუჯეტში, ხოლო დარჩენილი 359,1 ათ. ლარი, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებისთანავე, მიმართულ იქნება სხვა პრიორიტეტულ კაპიტალურ პროექტებზე.
- დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში დარჩენილი 37,4 ათ. ლარი მიმართულ იქნა სამხედრო ადრიცხვის სამსახურის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებისა და სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების დასაფინანსებლად 2022 წლის ბიუჯეტში.
- ადგილობრივ ფულადი სახსრების ნაშთად დარჩენილი 16 646,4 ათ. ლარი შემდეგნაირად ფორმულირდება:
 - ✓ 10 311,4 ათ. ლარი არის ქარბი შემოსავლებით მიღებული სახსრები, კერძოდ: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი 3 256,6 ათ. ლარი, სხვა შემოსავლები 2 325,4 ათ. ლარი და არაფინანსური აქტივების კლება 3 929,4 ათ. ლარი. ქარბი შემოსავლები დაფიქსირდა ნოემბერ - დეკემბრის თვეში. ასევე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს გამოეყო ქვეყნის მაშტაბით მაქსიმალური ტრანსფერი 800 ათ. ლარის ოდენობით.
 - ✓ 3 703,9 ათ. ლარი წარმოადგენს 2021 წლის ბიუჯეტის ფარგლებში დარჩენილ ნაშთს, რომელიც უკვე გაწერილია 2022 წლის ბიუჯეტში შესაბამისი მრავალწლიანი და გარდამავალი ასიგნებების მიხედვით.
 - ✓ 2 631,1 ათ. ლარი არის 2021 წლის ბოლოს დარჩენილი ეკონომიები, რომლებიც მიიმართა 2022 წლის ბიუჯეტის სხვადასხვა პროგრამებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებზე.

გადასახდელები ფუნქციონალური კლასიფიკაციით

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის ხარჯვითი ნაწილის გეგმამ შეადგინა 74 165,0 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ 66 530,3 ათ. ლარი, გეგმის 90%.

საერთო დანიშნულების მომსახურება დაფინანსდა გეგმის - 95%, თავდაცვა - 89%, ეკონომიკურ საქმიანობა - 92%, გარემოს დაცვაზე - 98%, საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე - 80%, განათლება, დასვენება, კულტურასა და რელიგიაზე - 91% და ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაზე -95%.



ფუნქციონალურ ჭრილში

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წელი	
		გეგმა	ფაქტი
1. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე	7 150,1	8 716,1	8 256,8
2. თავდაცვა და უსაფრთხოება	269,5	296,9	264,3
3. ეკონომიკური საქმიანობა	11 297,7	8 842,4	8 125,3
4. გარემოს დაცვა	5 505,1	9 453,6	9 242,7
5. საბინაო-კომუნალური მეურნეობა	8 765,6	19 033,1	15 195,5
6. განათლება, დასვენება, კულტურა და რელიგია	19 957,6	22 999,3	20 839,6
7. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა	3 829,4	4 823,6	4 606,0
ჯამი	56 775,0	74 165,0	66 530,3

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	%
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	8 716,1	8 256,8	95
ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 579,4	1 458,4	92
ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	4 875,5	4 662,6	96
საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა	54,4	54,4	100
სარეზერვო ფონდი	801,9	706,9	88
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ვალდებულებებისა და დავალიანებების მომსახურება/დაფარვა	1 224,8	1 197,8	98
რუსთავის მუნიციპალური არქივის ხელშეწყობა	100,0	96,8	97
ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა	80,0	80,0	100

თავდაცვა და უსაფრთხოება

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	%
თავდაცვა და უსაფრთხოება	296,9	264,3	89
სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	296,9	264,3	89

ეკონომიკური საქმიანობა

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	%
ეკონომიკური საქმიანობა	8 842,4	8 125,3	92
გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	4 492,2	3 932,7	88
გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	839,5	818,0	97
საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	291,8	283,6	97
მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	3 219,0	3 091,0	96

გარემოს დაცვა

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	%
გარემოს დაცვა	9 453,6	9 242,7	98
დასუფთავება და ნარჩენების გატანა	5 968,2	5 886,3	99
მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა, განვითარება	1 944,2	1 878,9	97
ცხოველთა მონიტორინგი	377,8	373,6	99
რუსთავეს ცენტრის ადმინისტრირების პროგრამა	624,7	589,9	94
სანიადვრე სისტემების ექსპლოატაცია/რეაბილიტაცია	538,8	514,0	95

საბინაო-კომუნალური მეურნეობა

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	%
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	19 033,1	15 195,5	80
ბინათმშენებლობა	6 846,3	5 567,3	81
საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	1 159,4	1 016,3	88
ამხანაგობების ხელშეწყობა	2 535,5	2 174,3	86
შენობების ფასადების რეაბილიტაცია	1 666,5	1 067,0	64
კომუნალური მეურნეობის განვითარება	8 165,2	6 304,5	77
საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	8 165,2	6 304,5	77
გარე განათება	1 933,0	1 906,1	99
გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	1 933,0	1 906,1	99
სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	2 088,7	1 417,6	68
საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია	590,9	170,5	29
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	411,7	378,1	92
საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა	478,4	323,8	68
ექსპერტიზის ხარჯები	50,0	13,1	26
რუსთავეს კორპუსის ადმინისტრირების პროგრამა	557,7	532,1	95

განმარტება:

- 1. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია** - აღნიშნული პროგრამის ღონისძიებებზე გამოცხადებული იქნა ტენდერები რომლებიც არ შედგა და დაიგეგმა 2022 წლის ბიუჯეტში.
- 2. შენობების ფასადების რეაბილიტაცია** - აღნიშნული პროგრამის ღონისძიებებზე გამოცხადებული იქნა ტენდერები რომლებიც არ შედგა და დაიგეგმა 2022 წლის ბიუჯეტში.
- 3. ექსპერტიზის ხარჯები** - პროექტები გაგზავნილ იქნა ექსპერტიზაზე რაზედაც ვერ ვერ განხორციელდა შესაბამის საანგარიშო პერიოდში ექსპერტიზა და ვერ მოხდა დასკვნების დამზადება.
- 4. საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა** - ობიექტების რაოდენობიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა სახელმეკრულებო თანხების ათვისება და ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების შესაბამისად დაიგეგმა 2022 წლის ბიუჯეტში.

განათლება, დასვენება, კულტურა და რელიგია

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	%
განათლება	13 488,1	11 816,2	88
სკოლამდელი განათლება	12 836,5	11 224,8	87
სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	9 385,6	8 723,5	93
სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	2 925,5	1 992,5	68
მეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა	525,4	508,9	97
ზოგადი განათლება	215,6	170,5	79
საშუალო სკოლებში ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა/ რეაბილიტაცია	215,6	170,5	79
უმაღლესი განათლება	436,0	420,9	97
სტუდენტთა სწავლის დაფინანსება	436,0	420,9	97
დასვენება, კულტურა და რელიგია	9 511,1	9 023,4	95
მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	4 497,7	4 045,4	90
სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	966,6	948,8	98
რაგბის ხელშეწყობა	510,0	509,6	100
კალათბურთის ხელშეწყობა	1 375,0	1 374,4	100
სპორტული და საბავშვო ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია	1 646,1	1 212,6	74
მომსახურება კულტურის სფეროში	2 373,8	2 365,8	100
თეატრის ხელშეწყობა	983,4	981,8	100
მუზეუმის ხელშეწყობა	323,8	322,7	100
ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	428,1	428,0	100
კულტურული ღონისძიებების განხორციელება	538,6	534,0	99
სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა	100,0	99,2	99
რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	10,0	6,6	66
რელიგიური კონფესიების ხელშეწყობა	10,0	6,6	66
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	2 629,6	2 605,7	99
კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	583,8	583,8	100
ახალგაზრდობის მხარდაჭერი ღონისძიებები	156,9	149,1	95
სახელოვნებო განათლების დაფინანსება	1 169,0	1 160,9	99
სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის ქვეპროგრამების ადმინისტრირების პროგრამა	719,8	711,9	99
განმარტება: 1. რელიგიური კონფესიების ხელშეწყობა - აღნიშნული პროგრამა ფუნქციონირებს მომართვიანობის შესაბამისად. 2. სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა - აღნიშნული პროგრამის ღონისძიებებზე გამოცხადებული იქნა ტენდერები რომლებიც არ შედგა და დაიგეგმა 2022 წლის ბიუჯეტში.			

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	%
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	1 816,9	1 713,4	94
საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	343,9	333,5	97
მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	879,0	795,0	90
მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება	139,0	138,1	99
აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	402,5	398,3	99

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	%
გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	52,5	48,4	92
სოციალური დაცვა	3 006,7	2 892,6	96
ავადმყოფთა სოციალური დაცვა	53,0	51,7	98
ღიალიზით დაავადებულთა დახმარება	53,0	51,7	98
მეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	75,8	57,8	76
მშპ პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამა (კომუნალურის დაფინანსება)	68,6	50,6	74
მკვეთრად მშპ ტოტალურ უსინათლოთა გამცილებელი	7,2	7,2	100
ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1 764,4	1 726,6	98
უხუცეს მოქალაქეთა დახმარება	0,9	0,6	67
მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა	460,2	453,8	99
მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება	1 303,3	1 272,3	98
მარჩენალდაკარგულთა სოციალური დაცვა	13,7	13,7	100
საბრძოლო ოპერაციებსა და საქართველოს ტერიტორიული მთიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების მატერიალური დახმარება	13,7	13,7	100
ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	567,9	544,8	96
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	476,2	472,0	99
სოციალური დახმარების პროგრამა	69,5	68,1	98
სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის პროგრამა	4,7	4,7	100
ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	17,5	0,0	0
სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები სოციალური დაცვის სფეროში	532,0	498,0	94
სარიტუალო მომსახურებები	20,0	13,8	69
შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე	76,4	75,2	98
შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე	369,7	361,2	98
ინდივიდუალური დახმარებების პროგრამა	34,9	27,7	79
დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება	7,0	7,0	100
სტუდენტთა სოციალური დახმარება	24,0	13,1	55
განმარტება:			
1. სარიტუალო მომსახურებები - დამოკიდებულია მომართვიანობაზე. 2. ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა - აღნიშნულ პროგრამაზე მომართვიანობა მოხდა 2021 წლის ოქტომბრის თვეში, შესაბამისად პროგრამის განხორციელება ვერ მოესწრო საანგარიშო პერიოდში და დაფინანსება მოხდება 2022 წლის ბიუჯეტიდან. 3. სტუდენტთა სოციალური დახმარება - არსებული COVID-19 ეპიდ. ვითარებიდან გამომდინარე სწავლება მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში, რამაც გამოიწვია სტუდენტთა მგზავრობის დაფინანსების მომართვიანობის შემცირება.			

გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის გადასახდელების ნაწილის გეგმამ შეადგინა 74 415,0 ათ. ლარი, მთლიანმა საკასო ხარჯმა – 66 776,1 ათ. ლარი. კონკრეტული მუხლების მიხედვით: შრომის ანაზღაურება დაფინანსდა გეგმის - 99%-ით, საქონელი და მომსახურება – 91%-ით, სასესხო ვალდებულებების პროცენტი – 98%-ით, სუბსიდია – 97%-ით, გრანტები – 96%-ით, სოციალური უზრუნველყოფა – 95%-ით, სხვა ხარჯები – 79%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა – 82%-ით, ვალდებულებების კლება – 98%-ით.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრულება %
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	8 554,2	8 060,1	94%
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	6 806,3	6 439,7	95%
01 01 01	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1579,4	1 458,4	92%
01 01 02	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	4 875,5	4 662,6	96%
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	297,0	264,4	89%
01 01 04	საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა	54,4	54,4	100%
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	1 747,9	1 620,5	93%
01 02 01	სარეზერვო ფონდი	93,1	0,0	
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	4,0	3,6	91%
01 02 03	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ვალდებულებებისა და დავალიანებების მომსახურება/დაფარვა	1 470,8	1 440,0	98%
01 02 04	მუნიციპალური არქივის ხელშეწყობა	100,0	96,8	98%
01 02 05	ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა	80,0	80,0	100%
განმარტება: 1. სარეზერვო ფონდი - 2021 წლის ბიუჯეტში განსაზღვრულ იქნა 802,0 ათ. ლარით საიდანაც გადახდამ შეადგინა 706,9 ათ. ლარმა.				

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)		მუნიციპალური არქივის ხელშეწყობა (01 02 04)			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ "ქ.რუსთავის მუნიციპალური არქივი"			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		2021 წლის მანძილზე მიღებულ განცხადებათა რაოდენობამ შეადგინა 1916 ერთეული; დადებითად დაკმაყოფილებულ იქნა 1055 განცხადება. საარქივო დაცვაზე შესანახად მიღებული დოკუმენტაცია - 2176 ერთეული.			
დაგეგმილი შუალედური შედეგი		კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტაციის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფა, დოკუმენტების მიღება, აღრიცხვა და საქმეთა ფორმირება ნომენკლატურის შესაბამისად, მასალების ფიზიკურ მდგომარეობაზე კონტროლი და სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა, შენობა-ნაგებობების და სახანძრო უსაფრთხოების დაცვა. ორგანიზაცია დაწესებულებებისა და მოქალაქეთა მომსახურების სერვისის გაუმჯობესება	მიღწეული შედეგი		უზრუნველყოფილია კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტაციის დაცვა-შენახვა, დოკუმენტების მიღება, აღრიცხვა და საქმეთა ფორმირება ნომენკლატურის შესაბამისად, მასალების ფიზიკურ მდგომარეობაზე კონტროლი და სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა, შენობა-ნაგებობების და სახანძრო უსაფრთხოების დაცვა
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
დამუშავებული და აღწერილია	1700	1920	1916		
გაწეული მომსახურება	2400	2510	2176		

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)		ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა (01 02 05)			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ "ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო"			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს მიზანია მხარი დაუჭიროს ეკონომიკურ განვითარებას, ინვესტიციების წახალისებას, არსებული მცირე და საშუალო საწარმოების და დამწყები მეწარმეების დაკავშირების გზით. 2021 წელს სააგენტოს მიერ მოძიებული იქნა ინვესტორი მაკედონიიდან ივანე პეტრუშევსკი, რომელმაც რუსთავში შეიძინა აუქციონის წესით 300 000 ლარად მიწის ნაკვეთი გაძარცვული შენობა-ნაგებობებით. 2021 წელს მან უკვე პოლიეთილენის გადამამუშავებისთვის შეიძინა სათანადო ტექნიკა და უკვე 1, 4 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა 35 ახალი სამუშაო ადგილის შექმნით. სააგენტოს ხელშეწყობით შ.პ.ს. „ეი-ემ-ბი ელოის“-ის მიერ აშენდა სილიკომანგანუმის ქარხანა, ამოქმედდა 2021 წლის მარტში განხორციელდა 2,5 მლნ ა.შ.შ. დოლარის ინვესტიცია, დასაქმდა 110 ადამიანი, ხოლო ამის შემდგომ პერიოდში 2021 წელს ქარხანამ აწარმოა და ექსპორტირება გაუკეთა 8 000 000 ა.შ.შ დოლარის პროდუქციას. მიმდინარეობს სამუშაოები სილიკომანგანუმის ახალი ინდუსტრიული ღუმელის ასამოქმედებლად, რამიც დამატებით 4,5 მლნ ა.შ.შ. დოლარის ინვესტიცია იღება. სააგენტომ 2021 წელს მოიძია ქართველი ინვესტორი შ.პ.ს. ჯეონიტერპრაიზი, კლინკერის საფუძვავი ლითონის ბურთულების საწარმოებლად რომელმაც შეიძინა რუსთავში უმოქმედო საწარმო 100 000 ა.შ.შ დოლარად და მოახდინა რეკონსტრუქცია. უკვე შესყიდული აქვთ უცხოური ტექნოლოგიური ხაზი. შეიქმნა 45 ახალი სამუშაო ადგილი და განხორციელდა 1, 7 მილიონი ლარის ინვესტიცია. იგეგმება კიდე კიდევ 1 მილიონი ევროს ღირებულების ინვესტირება. ეს კომპანია აქტიურად გეგმავს უკვე მიმდებარე ტერიტორიაზე 1.2 მლნ ა.შ.შ დოლარის დამატებით ინვესტირებას მზის ელექტროსადგურის მოსაწყობად. ჩვენი ხელშეწყობით ქონების სააგენტოში 12 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ამ მიზნით შესაძენად განაცხადი უკვე შეტანილი აქვთ. სააგენტოს ხელშეწყობით შენდება მეორადი ბოთლების გადამამუშავებელი ქარანა „პოლივიმი“სადაც უკვე შეძენილია შესაბამისი ღუმელი, განხორციელდა 3 მლნ.ლარის ინვესტიცია. იგეგმება დამატებით კიდევ დაახლოებით 1 მლნ ლარის ინვესტირება. სააგენტოს ინიციატივით და ხელშეწყობით ხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფში ფარმაცევტული საწარმოს მშენებლობა. 2021 წელს შ.პ.ს. ავალენზმა უკვე შეისყიდა 10 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, უკვე განხორციელებულია 2 მლნ ა.შ.შ დოლარის ინვესტიცია, მიმდინარეობს მშენებლობა, რომლის საბოლოო საინვესტიციო საინვესტიციო ღირებულება 6 მლნ ა.შ.შ. დოლარს შეადგენს. „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო“ აქტიურად მუშაობდა და მუშაობს ქვემო ქართლის რეგიონის - ტურიზმის კონცეფციაზე, რისი მიზანია ქვემო ქართლის რეგიონის ცნობადობის ამაღლებაზე, ამ მიზნით 2021 წელს ჩვენი ინიციატივით და კერძო ინვესტორთა ჩართულობით გამოიცა ქვემო ქართლში გავრცელებული სხვადასხვა ეროვნული კერძების რეცეპტების და პროდუქციის ამსახველი საინფორმაციო წიგნი. 7.2021 წელს ჩვენს მიერ ბიზნესმენთა ჩართულობით განხორციელდა სოციალური პროექტი და რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, თეთრიწყაროს და წალკის 350 სოციალურად დაუცველ ოჯახს საჩუქრად გადაეცა 25 000 ლარის სასურსათო პაკეტი.			
დაგეგმილი შუალედური შედეგი		სოციალურ-ეკონომიკურად განვითარებული ქვემო ქართლის რეგიონი		მიღწეული შედეგი	ხელშეწყობილია ქვემო ქართლის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურად განვითარება
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
მოზიდული ინვესტიციების რაოდენობა	განხორციელდა 1 ინვესტიცია	დაგეგმილია 2 ინვესტიცია	განხორციელდა 7 პროექტი		

როგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრულება %
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	28 514,3	23 934,1	84%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5 623,4	5 034,3	90%
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	4 492,2	3 932,7	88%
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	839,5	818,0	97%
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	291,8	283,6	97%
02 02	წყლის სისტემების განვითარება	538,8	514,0	95%
02 02 01	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	538,8	514,0	95%
02 03	გარე განათება	1 933,0	1 906,1	99%
02 03 01	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	1 933,0	1 906,1	99%
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	4 901,7	3 563,4	73%
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია	590,9	170,5	29%
02 04 02	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	1 159,4	1 016,3	88%
02 04 03	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	1 666,5	1 067,0	64%
02 04 04	მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების რეაბილიტაცია	1 484,9	1 309,6	88%
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	2 535,5	2 174,3	86%
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	8 265,2	6 403,8	77%
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	8 165,2	6 304,5	77%
02 06 02	სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა	100,0	99,2	99%
02 07	მუნიციპალური ავტორანსპორტის განვითარება	3 219,0	3 091,0	96%
02 08	საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	411,7	378,1	92%
02 09	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	528,4	336,8	64%
02 10	რუსთავის კორპუსის ადმინისტრირების პროგრამა	557,7	532,1	95%

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (02 01)		
პროგრამის განმახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური; ა(ა)იპ "რუსთავსერვის ცენტრი"		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანი - ქალაქ რუსთავში არსებული გზებისა და მარეგულირებელი ნიშნების მოწესრიგება და ქალაქში, როგორც სატრანსპორტო საშუალებებისათვის ასევე მოქალაქეთათვის კომფორტული გადაადგილებისათვის საჭირო გარემოს შექმნა. 2021 წელს განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები. სამუშაოები მოიცავდა ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმული შეკეთება); არასაფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მომანდაკებას; ორმული დამუშავება მოხდა როგორც შიდაკვარტალურ, ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე. ქალაქში მოწესრიგდა საგზაო ნიშნების და მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის არსებული გადასასვლლები, დაემატა ახალი ნიშნები, ამასთან მოწესრიგდა ბორდიურები და სხვადასხვა ლოკაციებზე მოეწყო ახალი ბორდიურები.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ქალაქ რუსთავში არსებული გზებისა და მარეგულირებელი ნიშნების მოწესრიგება და ქალაქში, როგორც სატრანსპორტო საშუალებებისათვის ასევე მოქალაქეთათვის კომფორტული	მიღწეული შედეგი	ქალაქ რუსთავში მოწესრიგებულია არსებული გზები და მარეგულირებელი ნიშნები და შექნილია კომფორტული გადაადგილებისათვის საჭირო გარემო მოქალაქეებისთვის,

გადაადგილებისათვის საჭირო გარემოს შექმნა			როგორც სატრანსპორტო საშუალებებით და ასევე ფეხით გადაადგილებისთვის		
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
რეაბილიტირებული გზები	2020 წელს განხორციელდა 12 - პროექტი	2021 წელს დაგეგმილია 9 პროექტის განხორციელება	2021 წელს განხორციელდა 9 პროექტი		
გზებზე რეაბილიტირებული ორმული მონაკვეთების ფართობი	2020 წლის ბოლომდე შეკეთდება 9500კვ.მ. და ამოივსება 4 კმ ბზარი	2021 წელს შეკეთდება 8000 კვ.მ და ამოივსება 10 კმ ბზარი	2021 წელს შეკეთდა 7800 კვ.მ		
დამონტაჟებული საგზაო ნიშნები და ზებრა გადასასვლელების დახაზვა	2020 წელს დამონტაჟდა 30 საგზაო ნიშანი და დაიხაზა 15 მისამართზე	2021 წელს გამოიცვლება მოთხოვნის შესაბამისად	2021 წელს დამონტაჟდა 185 საგზაო ნიშანი და 200 გრძივი მეტრი ბუგაროვკი		

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	გზების და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება (02 01 01)			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური;			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო 9 პროექტის განხორციელება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის სამუშაოები, რისთვისაც 2021 წლის განმავლობაში გამოცხადებულ იქნა 9 ტენდერი, 2021 წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 4 454,9 ათასი ლარი, მათ შორის 2021 წლის განმავლობაში დასრულდა 6 პროექტი, გამრავალწლიანების შედეგად 2022 წელში გადავიდა 464,6 ათ. ლარის ღირებულების სამუშაოები, 2021 წლის ბოლოს დაფიქსირდა 37 ათასი ლარის ეკონომია. მუნიციპალიტეტის მიერ რეაბილიტირებული გზების საერთო მოცულობამ შეადგინა 107 032 მ². კერძოდ, ქალაქ რუსთავში ამირან ფანცულაიას ქუჩაზე (მე-18 მკრ) მოეწყო ტროტუარი, მე-19 მკრ-ში N11-თან მოეწყო ტერიტორია, ტროტუარი და გზი, მე-18 ბადის წინ ჩიკაგოს სკვერის მიმდებარედ მოეწყო ტროტუარი, მე-12 და მე-16 მკრ შორის არსებულ ქუჩაზე მოეწყო პარკინგები, ტროტუარები და გაზონები, ღუმბაძის N3 განხორციელდა შიდა ეზოს კეთილმოწყობა და მოეწყო სანიაღვრე სისტემა, მე-16 მკ/რ მოეწყო სტამბულის ბაზრის გზა, ტროტუარები და სანიაღვრე სისტემა; მოეწყო მე-17 მკ/რ N9-დან N27-მდე ტროტუარები და მე-7 მ/რ N13 შიდა ეზოს გზა; ბოსტანქალაქის N5,5ა,5ბ,5გ,7 მოეწყო შიდა ეზოები; მოეწყო შოთა რუსთაველისა და ჭავჭავაძის ქუჩების ტროტუარები და კეთილმოწყობა მერიის მიმდებარე ტერიტორია; განხორციელდა ფიროსმანის ქუჩის და შოთა მოდებაძის ქუჩის მოწყობა-რეაბილიტაცია და XII მ/რ-ში #1-თან შიდა ეზოების გზების მოწყობის საჭირო სამუშაოების შესყიდვა (მრავალწლიანი 2020- 2021 წლის); ა/ბეტონის საფარის და ტროტუარების რეაბილიტაცია მოხდა რჩეულიშვილის შიდა კვარტალურ გზებზე, რჩეულიშვილის 2, 4, 6, 2ა, 4ა და ნა;8,8ა,10,10ა,10ბ,12,14,16; ჯავახიშვილის ქუჩის მიმდებარედ 1, 3, 5, 7, 3ა, 5ა, ლევ ტოლსტოის ქუჩის მიმდებარედ 1, 3, 5, 7, 7ა; ბერიტაშვილის ქუჩის მიმდებარედ 2, 4, 6, 8, 6ა			
დაგეგმილი მუალედური შედეგი	ქ. რუსთავში ადგილობრივი და სახელმწიფო მნიშვნელობის გზების დიდი ნაწილი იქნება რეაბილიტირებული. ამ გზებით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული. აღნიშნული პროექტების განხორციელების	მიღწეული შედეგი	ქ. რუსთავის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების დიდი ნაწილი რეაბილიტირებულია, შექმნილია უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების პირობები და უზრუნველყოფილია	

		შემდეგ შეიქმნება უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების პირობები. სამედიცინო, სახანძრო და სხვა დახმარების ბრიგადების დროული მისვლა დანიშნულების ადგილზე.		სამედიცინო, სახანძრო და სხვა დახმარების ბრიგადების დროული მისვლა დანიშნულების ადგილზე.	
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
რეაბილიტირებული გზები	2020 წელს განხორციელდა 12 - პროექტი	2021 წელს დაგეგმილია 9 პროექტის განხორციელება	2021 წელს განხორციელდა 9 პროექტი		
დაგებული გზების ფართობი	2020 წლის ბოლომდე დაგეგმილია 61000 კვ.მ ა/ბეტონის საფარის მოწყობა	2021 წელს მოეწყობა 90 000 კვ.მ	2021 წელს მოეწყობა 107 032 კვ.მ		

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)		გზების და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება (02 01 02)			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური;			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანი - ქალაქ რუსთავში გზის ორმული დამუშავება და წლის მანძილზე გზების მუშა მდგომარეობაში შენარჩუნება. არსებული გზების ექსპლუატაციის ვადის გაზრდა. 2021 წელს გზებისა და ტროტუარების შეკეთების საერთო მოცულობამ კი შეადგინა 7 800 მ². 2021 წლის განმავლობაში გამოცხადებულ იქნა 3 ტენდერი, 2021 წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 836,4 ათასი ლარი, მათ შორის 2021 წლის განმავლობაში დასრულდა 3 ხელშეკრულება, გამრავალწლიანების შედეგად 2022 წელში გადავიდა 19,7 ათ. ლარის ღირებულების სამუშაოები, 2021 წლის ბოლოს დაფიქსირდა 32,2 ათასი ლარის ეკონომია.			
დაგეგმილი შუალედური შედეგი		შექმნილი უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების პირობები. გაზრდილი გზების ექსპლუატაციის პერიოდი.	მიღწეული შედეგი	შექმნილია უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის პირობები. გაზრდილია გზების ექსპლუატაციის პერიოდი.	
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებული მუნიციპალური გზები.	2020 წლის ბოლომდე შეკეთდება 9500კვ.მ. და ამოივსება 4 კმ ბზარი	2021 წელს შეკეთდება 8000 კვ.მ და ამოივსება 10 კმ ბზარი	2021 წელს შეკეთდა 7800 კვ.მ		

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება (02 01 03)			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ "რუსთაველის ცენტრი"			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ქალაქში მოძრაობის მოწესრიგებისა და მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის არსებული გადასასვლელებისა და საგზაო ნიშნების მოვლა-პატრონობა, შეკეთება, ახალი ნიშნების დამატება. 2021 წელს დაიხაზა ფენით მოსიარულეთა გადასასვლელები ქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციაზე 1158.5 კვ/მ; დამონტაჟდა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები ქალაქის მასშტაბით - 200 გრძ/მ			
დაგეგმილი შუალედური შედეგი	მთელი წლის მანძილზე მოწესრიგებული ქალაქში არსებული საგზაო ნიშნები და დახაზული გადასასვლელები, დაცულია ტრანსპორტისა და მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება.	მიღწეული შედეგი	მოწესრიგებულია ქალაქში არსებული საგზაო ნიშნები და დახაზულია გადასასვლელები, უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება.	
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი	
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
დამონტაჟებული საგზაო ნიშნები და ზებრა გადასასვლელების დახაზვა	2020 წელს დამონტაჟდა 30 საგზაო ნიშანი და დაიხაზა 15 მისამართზე	2021 წელს გამოიცვლება მოთხოვნის შესაბამისად	2021 წელს დამონტაჟდა 185 საგზაო ნიშანი და 200 გრძივი მეტრი ბუგაროვკი	
გადასასვლელებისა და საპარკინგე ზონების დახაზვა	2020 წელს დაიხაზა 22 გადასასვლელი და 5 საპარკინგე ზონები, გაკეთდა მცირე ზომის ქანდაკებები	2021 წელს მოთხოვნის შესაბამისად	2021 წელს დაიხაზა 64 გადასასვლელი	
საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერების მოსათავსებელი ეგრედ წოდებული ჯიბეების გაკეთება	2020 წელს გაკეთდა 18 ცალი კონტეინერები ს მოსათავსებელი ჯიბეები	2021 წელს გაკეთდება 70 ცალი კონტეინერების მოსათავსებელი ჯიბეები	2021 წელს გაკეთდა 67 ცალი კონტეინერების მოსათავსებელი ჯიბეები	

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სანიაღვრე სისტემის ექსპლოატაცია (02 02 01)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია უამინდობის პერიოდში ქალაქში არსებული სანიაღვრე სისტემის უსაფრთხო მუშაობა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა არსებული სანიაღვრე სისტემის მოვლა-პატრონობა, რომელიც გულისხმობს უამინდობის პერიოდში სანიაღვრე სისტემის გაწმენდას, ასევე პერიოდულად ხდებოდა ინსპექტირება და დროული რეაგირება ინსპექტირების შედეგად დადგენილ დაზიანებებზე. 2021 წლის განმავლობაში გამოცხადებულ იქნა 2 ტენდერი, 2021 წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 328,6 ათასი ლარი, მათ შორის 2021 წლის განმავლობაში დასრულდა 2 ხელშეკრულება, 2021 წლის ბოლოს დაფიქსირდა 0,8 ათასი ლარის ეკონომია. სანიაღვრე სისტემის მოწყობა განხორციელდა 2 მისამართზე: მე-7 მკრ N25, 26, 27 კორპუსების დრენაჟის მოწყობა თოდრის N9 კორპუსთან დრენაჟის მოწყობა		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	ქალაქში არსებული გამართული სანიაღვრე სისტემა	მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილია ქალაქში არსებული სანიაღვრე

				სისტემის გამართული ფუნქციონირება	
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
წლის მანძილზე რეაბილიტირებული სანიაღვრე სისტემა და ახალი სანიაღვრე სისტემის გაკეთება	არ იყო განსაზღვრული	არ იყო განსაზღვრული	განხორციელდა 4 საცხოვრებელი კორპუსის დრენაჟის სისტემის მოწყობა	0%	

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)		სანიაღვრე სისტემის ექსპლოატაცია (02 02 01 02)			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ - რუსთავერვის ცენტრი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია უამინდობის პერიოდში ქალაქში არსებული სანიაღვრე სისტემის უსაფრთხო მუშაობა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა არსებული სანიაღვრე სისტემის მოვლა-პატრონობა, რომელიც გულისხმობს უამინდობის პერიოდში სანიაღვრე სისტემის გაწმენდას, ასევე პერიოდულად ხდებოდა ინსპექტირება და დროული რეაგირება ინსპექტირების შედეგად დადგენილ დაზიანებებზე. 2021 წელს აშენდა: 1. ახალი ნიაღვარმიმღები და ცენტრალური სანიაღვრე ჭა 8 ცალი 2. ლითონის ბაგირით ჩამაგრდა ნიაღვარმიმღები ჭის სახურავები 108 ცალი 3. გაიწმინდა ღია სანიაღვრე არხები სხვადასხვა მისამართებზე - 350 გრძ/მ 4. დამაგრდა ნიაღვარმიმღები ჭის ცხაურები- 342 ც 5. შეიცვალა ჭის სახურავები 47 ცალი 6. გაიწმინდა ქალაქის მაშტაბით 1450 ცალი ჭა. 7. სპეცტექნიკით გაირეცხა სხვადასხვა დიამეტრის 2741 გრძ/მ მილსადენი. 8. დამაგრდა ღია სანიაღვრე არხი კედლები - 6 ადგილას 9. ჭალის ტყეში მოეწყო სარწყავი სისტემა - 600 გრძ/მ 10. მოძიებულ იქნა სპეციალური ხელსაწყო მუშეობით დაკარგული (გადაასფალტებული) - 11 ჭა 11. მოეწყო ახალი სარწყავი სისტემა რეინბორღებით (548 ც) • მეგობრობის გამზ. • შარტავას გამზ. • კოსტავას გამზ.			
დაგეგმილი შუალედური შედეგი		ქალაქში არსებული გამართული სანიაღვრე სისტემა		მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილია ქალაქში არსებული სანიაღვრე სისტემის გამართული ფუნქციონირება
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
წლის მანძილზე რეაბილიტირებული სანიაღვრე სისტემა და ახალი სანიაღვრე სისტემის გაკეთება	140	350	350		
ჭის სახურავების შეცვლა	16	25	47		
ინსპექტირების ჩატარება	12	12	17		

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა (02 03 01)				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - რუსთავერვის ცენტრი				

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. 2021 წლის განმავლობაში დამონტაჟდა "სიპი" კაბელი - 15 205 გრძ/მ; ალაქის მაშტაბით დამონტაჟდა დიოდური სანათები 728 ცალი. დაფარული იქნა გარე განათების ელექტრო ენერგიის ხარჯი, ასევე დამზადდა ბოძები - 171 ცალი, ხოლო გარე განათების სისტემის განახლდა ფიროსმანის ქუჩაზე.			
დაგეგმილი შუალედური შედეგი		მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად	მიღწეული შედეგი		მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილში, სადაც მოწყობილია გარე განათება სისტემა ფუქციონირებს განართულად და წლის განმავლობაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრა ოპერატიულად
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
ბოძების რაოდენობა	2020 წელს 6000 ცალი ბოძი	2021 წელს 6140 ცალი	2021 წელს 6171 ცალი		
სადენების შეცვლა	2020 წელს შეიცვალა 37700 გრძივი მეტრი	2021 წელს შეიცვალა 20 000 გრძივი მეტრი	2021 წელს შეიცვალა 15 205 გრძივი მეტრი	10%	დამოკიდებულია დაზიანებების რაოდენობაზე

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)		საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მოწყობა/რეაბილიტაცია (02 04 01)			
პროგრამის განმახორციელებელი		რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის მიზანია საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და შენობების ექსპლუატაციის ვადის გაზრდა. 2021 წელს სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები განხორციელდა 2 ობიექტზე, კერძოდ მოხდა ქ.რუსთავში ააიპ შშმ პირთა ცენტრის შენობის გათბობის სისტემით უზრუნველყოფის სამუშაოების შესყიდვა და მე-17 მკ/რ N35 კორპუსთან რუსთავის კორპუსის კუთვნილი ფართის რეკონსტრუქცია, ასევე დაფინანსდა მიერთების ხარჯები. მე-14 მ/რ, მესხიშვილის N10,N11,N12 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აივნების, 9 ძმა ხერხეულიძის ქ. N14-45 მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება, მე-11 მკ/რ N1 გამაგრება-გაძლიერება სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაიგეგმა 2022 წლის ბიუჯეტში). ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 183,2 ათასი ლარი, აქედან 19,1 ათასი ლარი იყო ეკონომია და სულ გაიხარჯა 170,5 ლარი,			
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		რეაბილიტირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობები, სახურავების დაზიანების გამო მოსახლეობისთვის მინიმუმამდე დაყვანილი ზარალი. აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ გაზრდილია შენობების ექსპლუატაციის ვადა.	მიღწეული შედეგი		შექმნილია უსაფრთხო და კომფორტული გარემო ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის და ასევე სხვა ვიზიტორებისთვის. გაზრდილია საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლუატაციის ვადა.
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
რუსთავის მუნიციპალიტეტში საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მოწყობა/რეაბილიტაცია	2020 წელს განხორციელდა 9 მისამართზე გამაგრება-გაძლიერების	2021 წელს განხორციელდა 3 მისამართზე გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები	2021 წელს განხორციელდა 4 მისამართზე გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები		

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)		საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია (02 04 02 01)			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		აიპ - რუსთავის კორპუსი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბმა-ს საკუთარებაში არსებული კორპუსების დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი დაფინანსებით. 2021 წელს მიღებულ იქნა 120 განცხადება, დაკმაყოფილებულია 58, მოცულობით 44291 მ2, ხოლო სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთებაზე მიღებულია 84 განცხადება, დაკმაყოფილებულია 40, მოცულობით 3503 გრ/მ.			
დაგეგმილი შუალედური შედეგი		მოქალაქეთათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების უზუენველყოფა	მიღწეული შედეგი	მრავალბინიან სახლებში მცხოვრები მოქალაქეებისთვის შემნილია ნორმალური საცხოვრებელი პირობები	
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
რეაბილიტირებული სახურავები	მოხდა 70 განცხადების დაკმაყოფილება	მომართვიანობი ს შესაბამისად	58 განცხადება		პროგრამა დამოკიდებულია მომართვიანობაზე

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)		საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია (02 04 02 02)			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია დროულად განხორციელდეს მუნიციპალიტეტის ჩართულობით სტიქიის შედეგად და ასევე სხვადასხვა მიზეზით მიყენებული ზიანის აღმოფხვრა და მოქალაქეთა განცხადებებზე დაზიანების თაობაზე დროული რეაგირება. 2021 წლის განმავლობაში გამოცხადებულ იქნა 1 ტენდერი, 2021 წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 41,1 ათასი ლარი, მათ შორის 2021 წლის განმავლობაში დასრულდა 2 ხელშეკრულება, 2021 წლის ბოლოს დაფიქსირდა 2,3 ათასი ლარის ეკონომია. სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახურავების რეაბილიტირებული სახურავების საერთო მოცულობამ კი შეადგინა 1 100მ².			
დაგეგმილი შუალედური შედეგი		მოქალაქეთათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების უზუენველყოფა	მიღწეული შედეგი	მრავალბინიან სახლებში მცხოვრები მოქალაქეებისთვის შემნილია ნორმალური საცხოვრებელი პირობები	
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
რეაბილიტირებული სახურავები		მომართვიანობი ს შესაბამისად	რეაბილიტირებული სახურავების მოცულობამ შეადგინა 1 100 მ²		

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)		შენობის ფასადების რეაბილიტაცია (02 04 03)			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის მიზანია შეიქმნას სუფთა კომფორტული და მიმზიდველი გარემო ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის და ქალაქის ვიზიტორებისათვის. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობების ფასადების სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია. 2021 წელს გამოცხადებული იყო 1 ტენდერი, ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 25,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივი შესრულება იყო 9,2 ლარი.			
დაგეგმილი შუალედური შედეგი		შექმნილი იქნება სუფთა კომფორტული და მიმზიდველი გარემო ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის და ქალაქის ვიზიტორებისათვის, წახალისებული ადგილობრივი მოსახლეობა ეკონომიკური საქმიანობის კუთხით, გაზრდილი ინვესტიციები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის	მიღწეული შედეგი		შექმნილია სუფთა კომფორტული და მიმზიდველი გარემო ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის და ქალაქის ვიზიტორებისათვის, წახალისებული ადგილობრივი მოსახლეობა ეკონომიკური საქმიანობის კუთხით
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსების ფასადები	2020 წლის ბოლომდე რეაბილიტირდა 14 მისამართი	2021 წელს მოხდება 6 მისამართზე ფასადის რეაბილიტაცია	მოხდა 6 მისამართზე ფასადების რეაბილიტაცია		

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)		შენობის ფასადების რეაბილიტაცია (02 04 03)			
